ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის

სხდომა

ო ქ მ ი N 09

დ. ლენტეხი 4. მარტი. 2026.წ

მიმდინარე წლის 4 მარტს დღის 12 სთ-ზე ჩატარდა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ:

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ელდარ ლიპარტელიანი, წევრები: ხუტა მუკბანიანი, ამირან ქურასბედიანი და ნინო ბენდელიანი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით პირველი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი ქურასბედიანი, საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგი:

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვის დაწყება.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

მოისმინეს: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ელდარი ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" ე მუხლის, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 90-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიამ წარმოადგინა 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში. ანგარიში განსახილველად დაიდება საკრებულოს ვებ-გვერდზე.

აღნიშნული ანგარიში ეტაპობრივად უნდა განიხილოს საკრებულოს ყველა კომისიამ და ფრაქციამ და შესაბამისი დასკვნები გადასცეს აპარატს, რომელიც უზრუნველყოფს ამ

ანგარიშების გამოქვეყნებასაც. არაუგვიანეს 1 მაისისა საკრებულო მიიღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვის დაწყების შესახებ.

საფინანსო-საბიუჯეტო სხდომა დასრულდა დღის 13 სთ-ზე

საფინანსო საბიუჯეტო კომისიის

თავმჯდომარე /ე. ლიპარტელიანი/